

შპს „ევიტბილისი“

2024 წლის

ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ევეთბილისი“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
განმარტებითი შენიშვნების ბოლო გვერდი	29
მმართველობითი ანგარიში	30
დასკვნის ბოლო გვერდი	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
ფინანსური ანგარიშგების შესახებ
დამფუძნებლებს და მმართვეის ანგარიშვალდებულ პირებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ევიტბილისი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შესაბამისი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან, ასევე მმართველობითი ანგარიშისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრადში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ევიტბილისი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალური შემოსავლის, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების შედეგებსა და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ აქვს ჩატარებული სასაქონლო მატერიალური აქტივის ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს და სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოვახერხეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობასა და მდგომარეობაზე, შედეგად ვერ დავრწმუნდით 2023-2024 წლის მარაგების ნაშთების სისწორეში. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 2 761 541 ლარი და 3 210 988 ლარის ღირებულებით შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხაში, რაც ასევე გავლენას ახდენს საწყისი აკუმულირებული მოგების ოდენობაზე. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2023-2024 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს და კომპანიის მოცულობიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით მიგვეღო მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების არსებობასთან დაკავშირებით. შედეგად ვერ დავრწმუნდით 2023-2024 წლის ძირითადი საშუალებების ნაშთების სისწორეში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 548 782 ლარი და 579 030 ლარის ღირებულებით შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხაში, რაც ასევე გავლენას ახდენს საწყისი აკუმულირებული მოგების ოდენობაზე. აგრეთვე ცვეთის დარიცხვის მეთოდი არ შეესაბამება სააღრიცხვო პოლიტიკაში მითითებულ მეთოდოლოგიას. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება ძირითადი საშუალებების 2023-2024 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ შპს „ეკითხილისი“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა აბზაცი

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას. მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გასულ პერიოდებში კომპანიას მომზადებული და წარდგენილი აქვს ფინანსურ ანგარიშგება, რომელიც არ შეესაბამება ფასს-ებს. ამიტომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ წლიურ ანგარიშგებას, რომელიც სრულად შეესაბამება „ფასს“-ის მოთხოვნებს. „ფასს“-ებზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 01 იანვარი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ეკითხილისი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
 - ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ევიტბილისი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
 - ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
 - დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ევიტბილისი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ევიტბილისი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შესაბამისი.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.
- ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

2025 წ. 01 ოქტომბერი

გარიგების პარტნიორი_ აუდიტორი

ირმა იოსელიანი (SARAS-A-972235)

შპს “ეკოთბილისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	12/31/2024	12/31/2023	1/1/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	579,030	548,782	379,181
არამატერიალური აქტივები		25,361	25,361	25,361
სულ გრძელვადიანი აქტივები		604,391	574,143	404,542
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	1,217,434	2,226,905	2,234,707
გაცემული სესხი	8	912,510	760,492	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,202,400	2,206,096	2,034,798
გადახდილი ავანსები		444,396	169,988	305,027
მარაგები	5	3,210,988	2,761,541	1,652,356
სულ მიმდინარე აქტივები		7,987,728	8,125,022	6,226,888
მთლიანი აქტივები		8,592,119	8,699,165	6,631,430
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება	9	345,065	(945,264)	3,166,498
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	9	(117,769)	2,110,620	(28,509)
სულ საკუთარი კაპიტალი		227,396	1,165,456	3,138,089
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	7,829,346	5,105,503	2,493,341
გამოცხადებული დივიდენდები		90,242	153,395	
გრძელვადიანი სესხები	11	445,135	2,274,811	1,000,000
მთლიანი ვალდებულებები		8,364,723	7,533,709	3,493,341
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,592,119	8,699,164	6,631,430

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

01 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს “ეკითხილისი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნები	12/31/2024	12/31/2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	26,156,935	26,699,360
თვითღირებულება	13	(21,081,380)	(19,950,479)
სულ შემოსავალი		5,075,556	6,748,881
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	114	(4,497,588)	(3,736,888)
საპროცენტო ხარჯები		(74,045)	(53,362)
საპროცენტო შემოსავლები		174,846	19,867
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	15	(6,461)	(6,407)
უსასყიდლოდ მიღებული ქონება/მომსახურება		9,429	4,382
კონვერტაციის ხარჯი		(181,939)	(52,631)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		10,751	26,980
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(3,335)	(15,153)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	16	(176,384)	(22,169)
მოგება დაზღვრამდე		330,830	2,913,501
მოგების გადასახადის ხარჯი		(213,061)	(802,881)
პერიოდის შედეგი		117,769	2,110,620

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

01 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "ევიტბილისი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	100	3,137,989	3,138,089
პერიოდის შედეგი	-	2,110,620	2,110,620
დივიდენდის განაწილება	-	(3,900,000)	(3,900,000)
საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა	-	(183,252)	(183,252)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	1,165,356	1,165,456
პერიოდის შედეგი	-	117,769	117,769
დივიდენდის განაწილება	-	(1,100,000)	(1,100,000)
საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა	-	44,171	44,171
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	227,296	227,396

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

01 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3

შპს “ეკოთბილისი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგვრამდე	117,769	2,110,620
კორექტირება შემდეგზე:		
ცვეთა და ამორტიზაცია	36,798	17,319
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(176,384)	(22,169)
უსასყიდლოდ მიღებული ქონება/მომსახურება	(9,429)	(4,382)
საპროცენტო ხარჯები	3,354	-
სხვა არაფულადი შემოსავალი	(9,553)	4,353
საპროცენტო შემოსავლები	(152,018)	(2,492)
ცვლილებები საოპერაციო კაპიტალში	(189,463)	2,103,250
ზრდა/(შემცირება) მარაგებში	(449,447)	(1,109,184)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(484,366)	(89,134)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	3,064,522	2,618,172
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,941,246	3,523,103
მოგების გადასახადის ხარჯი	(213,061)	(802,881)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,728,185	2,720,222
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(67,045)	(186,921)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(67,045)	(186,921)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	-	(785,000)
ცვლილებები მიღებულ სესხებში	(1,833,030)	1,274,811
გადახდილი დივიდენდები	(886,939)	(3,097,119)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,719,969)	(2,607,308)
სავალუტო ეფექტი ფულად სახსრებზე	49,358	66,205
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში	(1,009,471)	(7,803)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	2,226,905	2,234,707
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	1,217,434	2,226,904

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

01 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ვეითბილისი (406028935) - შემდგომში კომპანია, დაფუძნდა 2010 წელის 21 მაისს და წარმოადგენს ქართულ სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ლოჯისტიკურ მომსახურებას, როგორცაა პროდუქციის იმპორტი, ექსპორტი, დისტრიბუცია, დასაწყობება და ტრანსპორტირება. კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ბილალ ბულუთ, 20770974950, S21167918 /თურქეთი/-80%

აქინ უზუნ, 01092000234, 27091764680 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, თურქეთი/-5%

დემირჰან ლოთოზ, 01008050004 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, თურქეთი/-15%

დირექტორი: აქინ უზუნ, 01092000234, 27091764680 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, თურქეთი/

კომპანიას მართავს კვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომელთა გუნდი, რომელიც აქტიურად არის ჩართული მისი განვითარების საქმიანობაში და ორიენტირებულია ქართული სამომხმარებლო ბაზრის გაუმჯობესებაზე და მულტინაციონალური კომპანიების მიერ წარმოებული მაღალხარისხიანი პროდუქციის იმპორტზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №110ა

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2024	31/12/2023
1 USD/GEL	2,8068	2,6894
1 EUR/GEL	2,9306	2,9753
1RUR/GEL	0,025405	0,029916

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

გასულ პერიოდებში კომპანია არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით. ამიტომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ წლიურ ანგარიშგებას, რომელიც სრულად შეესაბამება (IFRS)-ის მოთხოვნებს. (IFRS)-ებზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 01 იანვარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

რადგან 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი

დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო

ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
 - მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
 - სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
 - უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.
- თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო

განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი

დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ ცვდება.

ცვეთა

პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ ხარჯსა და მარაგს/რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის ძირითადი საშუალების ეკონომიკური ფუნქციის მიხედვით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა საოპერაციო მოგება/ზარალი.

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობა	25
მანქანა-დანადგარები	5-30
სატრანსპორტო საშუალებები	3-5
ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერები	3-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამა. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო სხვა მოთხოვნები გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

საწარმომ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინტესტუმენტების მიმართ ჯგუფი აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამოიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პოდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსური ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

3. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- IAS 1-ის ცვლილებები: ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარე ან არამიმდინარე; აღნიშნული ცვლილებები აზუსტებს კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, აქცენტი იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებობს.
- IFRS 16-ის ცვლილებები: იჯარის ვალდებულება გაყიდვა-გაქირავების ოპერაციაში; აღნიშნული ცვლილებები განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს იჯარის ვალდებულება და როგორ უნდა აღიაროს კომპანიამ ნებისმიერი მოგება ან ზარალი გაყიდვა-გაქირავების ოპერაციაში.
- IAS 12-ის ცვლილებები: გადავადებული გადასახადი აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიქმნება ერთიან ტრანზაქციაში; ცვლილებები ზღუდავს IAS 12-ის გათავისუფლების სფეროს, რაც კომპანიებს ავალდებულებს, აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც იწვევს თანაბარი ოდენობის დაბეგრად და გამოსაკლებ დროებით სხვაობებს. სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ არ ძალაში შესული ქვემოთ მოცემული ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ, მაგრამ ძალაში არ არის შესული 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის. კომპანიას არ გამოუყენებია აღნიშნული სტანდარტები და მიმდინარე ეტაპზე აფასებს მათ გავლენას მომავალ ფინანსურ ინსტრუმენტებზე.
- IFRS 18: ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და გამჟღავნება; შემოაქვს ახალი კატეგორიები და შუალედური მაჩვენებლები მოგებისა და ზარალის ანგარიშში და ავალდებულებს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ფინანსური მაჩვენებლების გამჟღავნებას.
- IAS 21-ის ცვლილებები: გაცვლის შეუძლებლობა; ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი. ცვლილებები განსაზღვრავს, როგორ უნდა შეაფასოს სუბიექტმა, შესაძლებელია თუ არა ვალუტის გაცვლა, და საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, თუ გაცვლა შეუძლებელია.
- IFRS 9-ისა და IFRS 7-ის ცვლილებები: ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტები; ძალაში შესვლის თარიღი: 2027 წლის 1 იანვარი. ცვლილებები აზუსტებს „საკუთარი მოხმარებისთვის“ მოთხოვნების გამოყენებას და საშუალებას აძლევს გარკვეულ კონტრაქტებს, დაექვემდებარონ ჰეჯირებისა და აღრიცხვის წესებს.

შპს „ვეითბილისი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მოცემული სტანდარტებითა და განახლებები მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ იქონიებს.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ლარში)

	შენიშნა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება						
1/31/2023	2,537	12,060	55,300	118,567	562,481	750,944
შეძენა		331		36,424	163,203	199,958
გაყიდვა		(5,293)			(20,781)	(26,074)
12/31/2023	2,537	7,097	55,300	154,991	704,903	924,828
შეძენა	7,000	331		14,100	62,890	84,321
გაყიდვა					(34,551)	(34,551)
12/31/2024	9,537	7,428	55,300	169,091	733,242	974,598
დაგროვილი ცვეთა						
1/31/2023	(145)	(2,282)	(2,412)	(1,916)	(365,008)	(371,764)
ცვეთის ხარჯი					(17,319)	(17,319)
ჩამოწერა		2,647			10,390	13,037
12/31/2023	(145)	365	(2,412)	(1,916)	(371,937)	(376,046)
ცვეთის ხარჯი					(36,798)	(36,798)
ჩამოწერა					17,276	17,276
12/31/2024	(145)	365	(2,412)	(1,916)	(391,459)	(395,568)
საბალანსო ღირებულება						
1/31/2023	2,392	9,778	52,887	116,650	197,473	379,181
12/31/2023	2,392	7,462	52,887	153,075	332,966	548,782
12/31/2024	9,392	7,793	52,887	167,175	341,783	579,030

5. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ლარში)

	12/31/2024	12/31/2023	1/31/2023
საქონელი	3,193,133	2,746,601	1,638,473
ნედლეული და მასალები	17,854	14,940	13,883
სულ მარაგები	3,210,988	2,761,541	1,652,356

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ლარი)

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,391,595	2,439,792	2,085,242
მოთხოვნები რეზერვის ზრდა/კლება	(189,525)	(233,696)	(50,444)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	330	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,202,400	2,206,096	2,034,798

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინსტუმენტების მიმართ კომპანია აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე. სარეზერვო ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ კომპანია არ მიიღებს დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას იმისას, რომ შეუძლებელია მართებული თანხის ამოღება; ასეთ შემთხვევაში, თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში. კომპანიას სჯერა, რომ არ არის აუცილებელი გაუფასურების რეზერვი ვადაგადაცილებულ სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში, გარდა უკვე გათვალისწინებულისა.

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტ	სულ რეზერვი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%	
2023 01 იანვარი	4,134	-	-	6,934	39,376	50,444
წლის დარიცხვა		6	-	53,286	134,050	187,342
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(4,090)	-	-	-	-	(4,090)
2023 31 დეკემბერი	44	6	-	60,220	173,426	233,696
წლის დარიცხვა		208	-		15,844	16,052
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	(3)	-	-	(60,220)	-	(60,223)
2024 31 დეკემბერი	42	214	-	(0)	189,269	189,525

დაჯგუფების მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს გაწეული ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში. ამ რეზერვის მთავარი კომპონენტები მოიცავს ზარალის სპეციფიკურ კომპონენტს, რომელიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებებს და ჯგუფის ზარალის კომპონენტს უკავშირდება, რომელიც დგინდება მოთხოვნის ვადაგადაცილებიდან ჩამოწერამდე თანმიმდევრულ ეტაპებს შორის გადასვლის ალბათობაზე დაფუძნებული, პატარა ნაშთების დიდი ოდენობისთვის.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ლარი)

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ნადი ფული ეროვნულ ვალუტაში	497	1,881	3,189
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,216,937	2,225,024	2,231,518
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,217,434	2,226,905	2,234,707

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

ფული და ფულის ექვივალენტები არ არის გაუფასურებული და ვადაგადაცილებული.

8. გაცემული სესხი

გაცემული სესხები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ლარში)

	სესხის ტიპი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	სესხის გაცემის თარიღი	სესხის დაფარვის თარიღი	31.12.2024	31.12.2023
დემირჰან ლოთოზ (პ/ნ 01008050004)	მოკლევადიანი	GEL	20%	20%	25.12.2023	25.12.2025	625,000	625,000
	მ.შ ძირი თანხა	ლარი					625,000	625,000
	პროცენტი	ლარი					127,399	2,055
სულ							752,399	627,055
აქინ უზუნი (პ/ნ 01092000234)	მოკლევადიანი	GEL	20%	20%	26.12.2023	26.12.2025	133,000	133,000
	მ.შ ძირი თანხა	ლარი					133,000	133,000
	პროცენტი	ლარი					27,111	437
სულ							160,111	133,437
ჯამი							912,510	760,492

9. კაპიტალი

საანგარიშო და შესადარის პერიოდში კაპიტალის ზრდა არ განხორციელებულა. 2023 წელს საწარმოს მოგებაშეადგინა 2 110 620,00 ლარი. 2024 წელს შესაბამისად 117 769,00 ლარი. 2023 წელს საწარმოს დებიტორული მოთხოვნის რეზერვებმა შეადგინა 183 252,00 ლარი. 2024 წელს შესაბამისად რეზერვები შემცირდა 44 171,00 ლარით. 2023 წელ გამოცხადებული დივიდენდები იყო 3 900 000,00 ლარი, შესაბამისად 2024 წელ 1 100 000,00 ლარი.
შედეგად 2023 წლის 01 იანვარს საწარმოს კაპიტალი შეადგენდა 3 138 089 ლარს, 2023 წლის 31 დეკემბერს 1 165 456,00 ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბერს 227 396,00 ლარს.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:
(ლარი)

	12/31/2024	12/31/2023	1/31/2023
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	7,819,762	4,997,434	2,493,341
მიღებული ავანსები	9,584	108,069	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,829,346	5,105,503	2,493,341

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:
(ლარი)

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ჯამი	სესხის აღების თარიღი	სესხის დაფარვის თარიღი		31.12.2024	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023
სს თიბისი ბანკი	USD	11%	156,250	06.12.2024	06.12.2025	მოკლევადიანი ნაწილი	441,781	-	156,250	-
								-		
						პროცენტი	3,280	-	1,169	-
						ჯამი	445,061	-	156,250	-
GEL								USD		
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ჯამი	გარანტიის აღების თარიღი	გარანტიის დაფარვის თარიღი		31.12.2024	31.12.2023	31.12.2024	31.12.2023
სს თიბისი ბანკი	USD	1.5%	80,000.00	25.10.2024	22.04.2025	პროცენტი	74		26	
						ჯამი	74	-	26	-

სესხების რეკონსილაცია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიღებული სესხები
01 იანვარი 2023

შპს „ვეთიბილისი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

	1,000,000
სესხის აღება	8,912,422
პერიოდის საპროცენტო ხარჯი	53,362
გადახდილი პროცენტი	(53,362)
გადახდილი ძირი	(7,640,440)
კუსთაშორის სხვაობის ეფექტი	2,830
31 დეკემბერი 2023	2,274,811
სესხის აღება	941,781
პერიოდის საპროცენტო ხარჯი	74,045
გადახდილი პროცენტი	(70,691)
გადახდილი ძირი	(2,776,488)
კუსთაშორის სხვაობის ეფექტი	1,677
31 დეკემბერი 2024	445,135

12. შემოსავალი

	12/31/2024	12/31/2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	26,217,835	26,740,296
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	(60,899)	(40,935)
სულ შემოსავალი	26,156,935	26,699,360

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	12/31/2024	12/31/2023
გაყიდული/შემენილი საქონელი	21,120,799	19,976,941
შემენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა	(39,419)	(26,462)
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება		
სულ თვითღირებულება	21,081,380	19,950,479

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	12/31/2024	12/31/2023
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	135,525	142,292
შრომის ანაზღაურება	2,468,043	1,909,234
სოციალური დანარიცხები	30,085	24,945
თანამშრომლების სარგებელი	6,475	5,784
განაცემები გადასახადის გადახდის მოწმობის არმქონე ფიზიკური პირები	263,431	195,732
საიჯარო ქირა	204,156	188,344

შპს „ეკოთბილისი“
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ლარში

კომუნიკაციის ხარჯები	10,886	7,993
ამორტიზაცია	36,798	17,319
დაზღვევა	32,222	22,347
სამივლინებო ხარჯები	23,207	15,341
რეკლამის ხარჯი	479,242	495,106
რემონტის ხარჯი	21,102	
კომპიუტერის ხარჯები	1,900	4,845
კომუნალური ხარჯი	782	463
საბანკო მომსახურება	17,725	15,006
სხვა მომსახურების ხარჯი	439,654	355,225
საწვავის ხარჯი	268,945	258,861
საკანცელარიო ხარჯები	3,537	5,000
საოფისე ინვენტარის ხარჯი	21,198	15,347
სხვა ხარჯი	1,668	5,390
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,678	2,312
უსასყიდლო მიწოდება	3,876	9,434
საქველმოქმედო ხარჯი		990
საგადასახადო ხარჯი	18,240	34,046
ქონების გადახადის ხარჯი	6,216	5,532
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,497,588	3,736,888

15. მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან

	2024	2023
ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	10,815	6,630
გაყიდული ძირითადი საშუალების თვითღირებულება	(17,276)	(13,037)
გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხრჯი		
სულ	(6,461)	(6,407)

16. კურსთაშორის სხვაობის ეფექტი

	2024	2023
საკუროს სხვაობის შემოსავალი	689,623	452,787
საკუროს სხვაობის ხარჯი	(866,007)	(474,956)
სულ	(176,384)	(22,169)

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი განსაზღვრავს დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით ანხორციელებს შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

შპს „ეკოთბილისი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	რუსული რუბლი	12/31/2024
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	801,058	285,616	130,263	1,216,937
სავაჭრო მოთხოვნები	2,202,400	-	-	2,202,400
გაცემული სესხი	912,510	-	-	912,510
ფინანსური აქტივები, სულ	3,915,969	285,616	130,263	4,331,847
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	114,877	7,714,469	-	7,829,346
გრძელვადიანი სესხები		445,135	-	445,135
ფინანსური ვალდებულებები, სულ	114,877	8,159,604	-	8,274,481
ღია სავალუტო პოზიცია	3,801,092	(7,873,989)	-	(3,942,635)
	ლარი	აშშ დოლარი		12/31/2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,603,010	622,014	-	2,225,024
სავაჭრო მოთხოვნები	2,206,096	-	-	2,206,096
გაცემული სესხი	760,492	-	-	760,492
ფინანსური აქტივები, სულ	4,569,598	622,014	-	5,191,612
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	194,785	4,910,718	-	5,105,503
გრძელვადიანი სესხები		2,274,811	-	2,274,811
ფინანსური ვალდებულებები, სულ	194,785	7,185,529	-	7,380,314
ღია სავალუტო პოზიცია	4,374,813	(6,563,515)	-	(2,188,702)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის

შპს „ეკითბილისი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი, 2023	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	2,226,905	-	-	2,226,905
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,206,096	-	-	2,206,096
გაცემული სესხი	760,492	-	-	760,492
სულ ფინანსური აქტივები	5,193,493	-	-	4,433,001
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,105,503	-	-	5,105,503
მიღებული სესხები	2,274,811	-	-	2,274,811
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,380,314	-	-	7,380,314
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(2,186,821)	-	-	(2,947,313)

31 დეკემბერი, 2024	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,217,434	-	-	1,217,434
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,202,400	-	-	2,202,400
გაცემული სესხი	912,510	-	-	2,202,400
სულ ფინანსური აქტივები	4,332,344	-	-	5,622,234
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,829,346	-	-	7,829,346
მიღებული სესხები	445,135	-	-	7,829,346
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,274,481	-	-	15,658,692
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(3,942,137)	-	-	(10,036,458)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიში, რომელიც

ამლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

მენეჯმენტზე გაცემული ხელფასები:

	2024	2023
მენეჯმენტის ხელფასი		
უზუნ აქინ	285,000	213,750
ლოთოზ დემირკან	558,750	265,000

20. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღინუსხება კომპანიის მიერ სათანადოდ. კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს.

21. სასამართლო დავები

ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის კომპანია არ გააჩნია სასამართლო დავები. აქვს დასრულებული სასამართლოს დავები. თითოეულ მათგანში კომპანია წარმოადგენს მოსარჩელეს. საწარმომ გააკეთა შესაბამისი ანარიცხები.

22. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 01 ოქტომბერს, 2025. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „ეკითბილისი“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის:

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს:

- სუბიექტის საქმიანობის განვითარებასა და მდგომარეობას, აღწერს ძირითად რისკებსა და გზებს, როგორ შეიძლება ამ რისკებმა გავლენა იქონიოს სუბიექტის სამომავლო პერსპექტივებზე, წარმოგიდგენს სუბიექტის წარსული საქმიანობის ანალიზს;
- ინფორმაციას სუბიექტის ხელმძღვანელი პირების სტრუქტურას და მის შესაბამისობას სუბიექტის მიზნების განხორციელებისთვის;
- წარმოადგენს ინფორმაციას სუბიექტის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, აღწერს დასაქმებასთან ადამიანის უფლებებს, პატივისცემას და ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებულ მიდგომებს.
- ანგარიში წარმოგიდგენს საწარმოს საქმიანობის მიმდინარე და სამომავლო გეგმების ინფორმაციას;
- აგრეთვე ანალიტიკურ ინფორმაციას იმ რისკების თაობაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს საქმიანობაზე.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ შპს „ეკითბილისი“-ს მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია, თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება, გავზარდოთ ბიზნესი ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად.

მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის. მზად ვართ, შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულების ნდობა და პატივისცემა.

კომპანიის შესახებ

შპს ეკითბილისი (406028935) - შემდგომში კომპანია, დაფუძნდა 2010 წელის 21 მაისს და წარმოადგენს ქართულ სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ლოჯისტიკურ მომსახურებას, როგორცაა პროდუქციის იმპორტი, ექსპორტი, დისტრიბუცია, დასაწყობება და ტრანსპორტირება. კომპანიის კაპიტალის წილობრივი ფლობა წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ბილალ ბულუთ, 20770974950, S21167918 /თურქეთი/-80%

აქინ უზუნ, 01092000234, 27091764680 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, თურქეთი/-5%

დემირჰან ლოთოზ, 01008050004 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, თურქეთი/-15%

დირექტორი: აქინ უზუნ, 01092000234, 27091764680 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, თურქეთი/

კომპანიას მართავს კვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომელთა გუნდი, რომელიც აქტიურად არის ჩართული მისი განვითარების საქმიანობაში და ორიენტირებულია ქართული სამომხმარებლო ბაზრის გაუმჯობესებაზე და მულტინაციონალური კომპანიების მიერ წარმოებული მაღალხარისხიანი პროდუქციის იმპორტზე.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ვეითბილისი“ (ს/ნ 406028935) ახორციელებს იმპორტირებული სარეცხი საშუალებების (ABC), საპნის (DUDRU, FAX), ბავშვის ჰიგიენის საგნების (EvyBaby), საპარსი საშუალებების (ARKO), ფეხსაცმლის მოვლის საშუალებები (SILVER), დრუბლები და ტილო (ALFA) და სხვა საქონლის დისტრიბუციას ქვეყნის მასშტაბით. საქონლის იმპორტი ხდება ძირითადად თურქეთის ქარნებიდან, აგრეთვე მალაიზიიდან და ეგვიპტიდან. საქონელი მიეწოდება 1200-მდე მყიდველს თბილისში არსებული ორი საწყობიდან (თბილისი, კახეთის გზატკეცილი 110ა და გრიგოლ ლორთქიფანიძეს ქ. # 154) და ქუთაისის საწყობიდან (ქუთაისი .წერეთლის გამზირი # 186). კომპანიამ ახდენს აგრეთვე სარეცხი საშუალებების ექსპორტს და რეექსპორტს რუსეთში.

სამომავლო გეგმები

კომპანია გეგმავს როგორც არსებული ასორტიმენტის საქონლის მოცულობის გაზრდას, ასევე სხვა ასორტიმენტის საქონლის იმპორტს ახალი მიმწოდებლებიდან. გათვალისწინებული გვაქვს ექსპორტი მაქსიმალურად ჩავანაცვლო რეექსპორტით და ამსთანავე გავზარდოთ მისი მოცულობა.

მართვა

კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორი აქინ უზუნი. დამფუძნებელის მინდობილი პირი.ორივე მათგანს აქვს კომპანიის საქმიანობის სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება.

კომპანიის სტრუქტურა შედგება რამდენიმე დეპარტამენტისგან. თითოეული დეპარტამენტისათვის გაწერილია კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები, რომელთა სწორად შესრულებაზეა დამოკიდებული სამუშაოს ხარისხი. მნიშვნელოვანია, სამუშაოს შესრულებისას ეფექტურად იქნას გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

ჩვენი გუნდი

კომპანიაში დასაქმებული მაღალკვალიფიციური პერსონალი ქმნის მაღალი ხარისხის პროდუქტს. ამაში გუნდის თითოეულ წევს მრავალწლიანი გამოცდილება და პროფესიონალიზმი ეხმარება.

შპს „ვეითბილისი“ დასაქმებულია 67-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებენ სწორედ აქ დასაქმებული ადამიანები და ამიტომ ხელმძღვანელები მუდმივად ცდილობენ, შექმნან ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „ვეითბილისი“ მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს, განურჩევლად ყველას მისცეს განვითარებისათვის საჭირო თანაბარი შესაძლებლობები.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს „ეკოთბილისი“ ცდილობს, შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

თანამშრომლებს ეძლევა მითითებები, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ რეაგირება გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტის აზრით, ფირმის განვითარებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ობიექტურმა, ასევე სუბიექტურმა რისკფაქტორებმა.

ობიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, რაც ყველა ბიზნესისთვის გადამწყვეტია; ასევე გეოპოლიტიკური მდგომარეობა და დიპლომატიური ურთიერთობები იმ მოკავშირე ქვეყნებთან, საიდანაც ხორციელდება პროდუქციის იმპორტი.

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ვალუტის კურსის მკვეთრმა ზრდამ.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, კომპანია ორიენტირებულია, დაწეროს მენეჯმენტის სწორი მიდგომები, რომელიც შეესაბამება მის საქმიანობას. მიმდინარეობს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების სტანდარტის დასაწესებლად, რაც განაპირობებს თანამშრომელთა უსაფრთხო სამუშაო გარემოს.

კომპანია ცდილობს, აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რაც გამოიწვევს საწარმოო ციკლის შეფერხებას ან არასწორ აღრიცხვას; მუშაობს კონტროლის მექანიზმების სრულყოფაზე პროდუქციის შემენიდან მის საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდებისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია, დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას, მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. ამ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

მენეჯმენტის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკის მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საკრედიტო რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება).

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანიას აქვს ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის კურსი არის მნიშვნელოვანი კომპანიის ფინანსური რისკების დადგენაში.

სავალუტო რისკები, სავალუტო რისკის მგრძნობელობა

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანია დაუცველია უპირატესი უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის გავლენისაგან მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ვინაიდან კომპანიის ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ლარში აქვს აღებული, ვალუტის მერყეობა ძირითად ზეგავლენას არ ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე.

	ლარი	აშშ დოლარი	რუსული რუბლი	12/31/2024
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	801,058	285,616	130,263	1,216,937
სავაჭრო მოთხოვნები	2,202,400			2,202,400
გაცემული სესხი	912,510			912,510
ფინანსური აქტივები, სულ	3,915,969	285,616	130,263	4,331,847
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	114,877	7,714,469		7,829,346
გრძელვადიანი სესხები		445,135		445,135
ფინანსური ვალდებულებები, სულ	114,877	8,159,604	-	8,274,481
ღია სავალუტო პოზიცია	3,801,092	(7,873,989)		(3,942,635)
		2.6894	0.029916	
	ლარი	აშშ დოლარი		12/31/2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,603,010	622,014		2,225,024
სავაჭრო მოთხოვნები	2,206,096			2,206,096
გაცემული სესხი	760,492			760,492
ფინანსური აქტივები, სულ	4,569,598	622,014	-	5,191,612
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	194,785	4,910,718		5,105,503
გრძელვადიანი სესხები		2,274,811		2,274,811
ფინანსური ვალდებულებები, სულ	194,785	7,185,529	-	7,380,314
ღია სავალუტო პოზიცია	4,374,813	(6,563,515)	-	(2,188,702)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას. ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები (არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) განსაზღვრულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

31 დეკემბერი, 2023	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	2,226,905	-	-	2,226,905
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,206,096	-	-	2,206,096
გაცემული სესხი	760,492	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	5,193,493	-	-	4,433,001
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,105,503	-	-	5,105,503
მიღებული სესხები	2,274,811	-	-	2,274,811
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,380,314	-	-	7,380,314
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(2,186,821)	-	-	(2,947,313)

31 დეკემბერი, 2024	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,217,434	-	-	1,217,434
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,202,400	-	-	2,202,400
გაცემული სესხი	912,510	-	-	2,202,400
სულ ფინანსური აქტივები	4,332,344	-	-	5,622,234
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,829,346	-	-	7,829,346
მიღებული სესხები	445,135	-	-	7,829,346
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,274,481	-	-	15,658,692
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(3,942,137)	-	-	(10,036,458)

შპს ეკოთბილისის

დირექტორი

აქინ უზუნი


შპს "ვეითბილისი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

		შენიშვნები	12/31/2024	12/31/2023	1/1/2023
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	4		579,030	548,782	379,181
არამატერიალური აქტივები			25,361	25,361	25,361
სულ გრძელვადიანი აქტივები			604,391	574,143	404,542
მიმდინარე აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	7		1,217,434	2,226,905	2,234,707
გაცემული სესხი	8		912,510	760,492	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6		2,202,400	2,206,096	2,034,798
გადახდილი ავანსები			444,396	169,988	305,027
მარაგები	5		3,210,988	2,761,541	1,652,356
სულ მიმდინარე აქტივები			7,987,728	8,125,022	6,226,888
მთლიანი აქტივები			8,592,119	8,699,165	6,631,430
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
საკუთარი კაპიტალი					
საკუთარი კაპიტალი			100	100	100
გაუნაწილებელი მოგება	9		345,065	(945,264)	3,166,498
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	9		(117,769)	2,110,620	(28,509)
სულ საკუთარი კაპიტალი			227,396	1,165,456	3,138,089
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10		7,829,346	5,105,503	2,493,341
გამოცხადებული დივიდენდები			90,242	153,395	
გრძელვადიანი სესხები	11		445,135	2,274,811	1,000,000
მთლიანი ვალდებულებები			8,364,723	7,533,709	3,493,341
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			8,592,119	8,699,164	6,631,430

ხელმომწერი პირები:

დირექტორი



ფინანსური მენეჯერი



01 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

შპს "ვეითბილისი"
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

	გენიშვნები	12/31/2024	12/31/2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	26,156,935	26,699,360
თვითღირებულება	13	(21,081,380)	(19,950,479)
სულ შემოსავალი		5,075,556	6,748,881
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	114	(4,497,588)	(3,736,888)
საპროცენტო ხარჯები		(74,045)	(53,362)
საპროცენტო შემოსავლები		174,846	19,867
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	15	(6,461)	(6,407)
უსასყიდლოდ მიღებული ქონება/მომსახურება		9,429	4,382
კონვერტაციის ხარჯი		(181,939)	(52,631)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		10,751	26,980
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(3,335)	(15,153)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	16	(176,384)	(22,169)
მოგება დაბეგვრამდე		330,830	2,913,501
მოგების გადასახადის ხარჯი		(213,061)	(802,881)
პერიოდის შედეგი		117,769	2,110,620

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

01 ოქტომბერი, 2025
 თბილისი, საქართველო

შპს "ევითბილისი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	100	3,137,989	3,138,089
პერიოდის შედეგი	-	2,110,620	2,110,620
დივიდენდის განაწილება	-	(3,900,000)	(3,900,000)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა	-	(183,252)	(183,252)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	1,165,356	1,165,456
პერიოდის შედეგი	-	117,769	117,769
დივიდენდის განაწილება	-	(1,100,000)	(1,100,000)
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა	-	44,171	44,171
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	227,296	227,396

ხელმომწერი პირები:

დირექტორი



ფინანსური მენეჯერი



01 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

შპს "ვეითბილისი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგვრამდე	117,769	2,110,620
კორექტირება შემდეგზე:		
ცვთა და ამორტიზაცია	36,798	17,319
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(176,384)	(22,169)
უსასყიდლოდ მიღებული ქონება/მომსახურება	(9,429)	(4,382)
საპროცენტო ხარჯები	3,354	-
სხვა არაფულადი შემოსავალი	(9,553)	4,353
საპროცენტო შემოსავლები	(152,018)	(2,492)
ცვლილებები საოპერაციო კაპიტალში	(189,463)	2,103,250
ზრდა/(შემცირება) მარაგებში	(449,447)	(1,109,184)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(484,366)	(89,134)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	3,064,522	2,618,172
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,941,246	3,523,103
მოგების გადასახადის ხარჯი	(213,061)	(802,881)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,728,185	2,720,222
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(67,045)	(186,921)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(67,045)	(186,921)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული სესხები	-	(785,000)
ცვლილებები მიღებულ სესხებში	(1,833,030)	1,274,811
გადახდილი დივიდენდები	(886,939)	(3,097,119)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,719,969)	(2,607,308)
სავალუტო ეფექტი ფულად სახსრებზე	49,358	66,205
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში	(1,009,471)	(7,803)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	2,226,905	2,234,707
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	1,217,434	2,226,904

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

01 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

01.10.2025 წ

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების შესახებ

შპს „ეკითხილისი“-ს

დამფუძვნებლებს და მმართვეის ანგარიშვალდებულ პირებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ეკითხილისი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შესაბამისი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან, ასევე მმართველობითი ანგარიშისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრით ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ეკითხილისი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალური შემოსავლის, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების შედეგებსა და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ აქვს ჩატარებული სასაქონლო მატერიალური აქტივის ინვენტარიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშნის თარიღს და სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოვახერხეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობასა და მდგომარეობაზე, შედეგად ვერ დავრწმუნდით 2023-2024 წლის მარაგების ნაშთების სისწორეში. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 2 761 541 ლარი და 3 210 988 ლარის ღირებულებით შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხაში, რაც ასევე გავლენას ახდენს საწყისი აკუმულირებული მოგების ოდენობაზე. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის

ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2023-2024 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს და კომპანიის მოცულობიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით მიგველო მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების არსებობასთან დაკავშირებით. შედეგად ვერ დავრწმუნდით 2023-2024 წლის ძირითადი საშუალებების ნაშთების სისწორეში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 548 782 ლარი და 579 030 ლარის ღირებულებით შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ თანხაში, რაც ასევე გავლენას ახდენს საწყისი აკუმულირებული მოგების ოდენობაზე. აგრეთვე ცვეთის დარიცხვის მეთოდი არ შეესაბამება სააღრიცხვო პოლიტიკაში მითითებულ მეთოდოლოგიას. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება ძირითადი საშუალებების 2023-2024 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ შპს „ეკითხილისი“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა აზრები

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას. მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გასულ პერიოდებში კომპანიას მომზადებული და წარდგენილი აქვს ფინანსურ ანგარიშგება, რომელიც არ შეესაბამება ფასს-ებს. ამიტომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ წლიურ ანგარიშგებას, რომელიც სრულად შეესაბამება „ფასს“-ის მოთხოვნებს. „ფასს“-ებზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 01 იანვარი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ეკითხილისი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ეკითხილისი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ

აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ეკითხილისი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ეკითხილისი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შესაბამისი.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.



2025 წ. 01 ოქტომბერი
გარიგების პარტნიორი_ აუდიტორი

ირმა იოსელიანი (SARAS-A-972235)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ოფიციალური წერილი მოვამზადეთ თქვენ მიერ ჩატარებულ, შპს "ეკითხილისი"-ს 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, რომლის მიზანია, აუდიტორების მოსაზრების გამოხატვა იმის შესახებ, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს). ვადასტურებთ, რომ:

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება

შევასრულეთ ჩვენი ვალდებულებები, რომლებიც ეხება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც ამას ითვალისწინებდა 2025 წლის 05 მაისს მხარეებს შორის გაფორმებული სტანდარტული პირობები # სპ 02/25 და გარიგების წერილი გწ-სპ-02/25. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია სამართლიანად აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად.

სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის ჩვენ მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები გონივრულია. დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები და ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად არის აღრიცხული და განმარტებით შენიშვნებში ასახული.

ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი ყველა მოვლენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან განმარტებით შენიშვნებში ასახვას, შესაბამისად იქნა გათვალისწინებული.

შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, არც ცალ-ცალკე და არც ერთობლიობაში, არსებითი არ არის.

- კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულების ყველა ასპექტი, რომლის დარღვევასაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- კომპანიას ადეკვატური საკუთრების უფლება გააჩნია ყველა აქტივზე; ადგილი არ ჰქონია კომპანიის აქტივებზე ყადაღის დადების შემთხვევას, ან კომპანიის აქტივების დატვირთვას სხვა სახით,
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგი ასახულია ისეთი თანხით, რაც არ აღემატება სარეალიზაციო ღირებულებას;
- ინვენტარიზაციის დროს ადგილი არ ჰქონდა გრძელვადიანი აქტივების შეფასება გაუფასურებაზე და ჩამოწერას.

აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაცია

ჩვენ თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ:

- ჩვენთვის ცნობილი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის შესაფერისი ყველა ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, სააღრიცხვო ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;
- თქვენ მიერ აუდიტის მიზნებისათვის მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია; და

- კომპანიაში იმ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტის შესაძლებლობა, ვისგანაც, თქვენი აზრით, მიზანშეწონილი იყო აუდიტორული მტკიცებულებების მიღება.
- ყველა ოპერაცია ასახულია სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოგაწოდეთ ჩვენი შეფასების შედეგები იმის რისკისა, რომ თაღლითობის გამო შეიძლება ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარი იყოს;
- გაგიმჟღავნეთ ჩვენთვის ცნობილი სრული ინფორმაცია თაღლითობასთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებით, რასაც შეეძლო გავლენის მოხდენა სამეურნეო სუბიექტზე და რაშიც მონაწილეობდნენ:
 - ხელმძღვანელობა;
 - თანამშრომლები, რომლებიც შიდა კონტროლთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ; ან
 - სხვები, როდესაც თაღლითობას შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- გაგიმჟღავნეთ თაღლითობის ბრალდებებთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახდენს გავლენას და გვაცნობეს თანამშრომლებმა, ყოფილმა თანამშრომლებმა, ანალიტიკოსებმა, მარეგულირებელმა ორგანოებმა და სხვებმა;
- გაცნობეთ კანონმდებლობის დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ყველა ცნობილი შემთხვევა, რომელთა გავლენა გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;
- გაგიმჟღავნეთ ჩვენთვის ცნობილი, სამეურნეო სუბიექტის დაკავშირებული მხარეების ვინაობა და გაცნობეთ დაკავშირებულ მხარეთა ყველა ურთიერთობისა და ოპერაციის შესახებ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიას ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიას მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიას გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიას ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ფასს-ის შესაბამისად;

- კომპანიას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 29.09.2025 ხელმძღვანელობის სახელით:

პატივისცემით,

დირექტორი:



ა. უზუნ